საგაზეთო ჩანართი

# ინტელექტი

## ჩემი არჩევანი - რეალური თვითმმართველობა

№2 / 2014



# „მინდა, წვლილი შევიტანო ჩემი თემის განვითარების საქმეში“

მუნიციპალიტეტების განვითარების ხელშეწყობის მიზნით ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ პროექტის – „თემები დემოკრატიული არჩევნებისთვის“ – ფარგლებში აჭარის ხუთივე მუნიციპალიტეტის 64 თემში 100 ადგილობრივ მცხოვრებს დაასაქმებს. ადგილობრივი განმანათლებლები იზრუნებენ თავიანთი თემის მოსახლეობის განათლებასა და ინფორმირებულობის დონის ამაღლებაზე საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით. ისინი მოსახლეობას ადგილობრივი თვითმმართველობის არსსა და საქმიანობას გააცნობენ და აჩვენებენ რამდენად ანგარიშვალდებულია არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობა ამომრჩევლების წინაშე.

ადგილობრივი თვითმმართველობა ეს არის საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოაწესრიგონ და მართონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები საკუთარი პასუხისმგებლობით და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიულ საზღვრებში მცხოვრები მოქალაქეები და მათ მიერ არჩეული თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები პასუხისმგებელნი არიან, რაც შეიძლება ეფექტურად განკარგონ მუნიციპალიტეტების რესურსები და მაქსიმალურად გაითვალისწინონ მოსახლეობის ინტერესები. ზემოაღნიშნული პასუხისმგებლობა მოქალაქეთა თვითშეგნების დონეზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული. ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების მოგვარება და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მიღება ქვეყნის დეცენტრალიზაციისა და განვითარების საუკეთესო და აუცილებელი ფაქტორებია. მნიშვნელოვანია მოქალაქეთა განათლების დონის ამაღლება თვითმმართველობის საკითხებში, რათა ჰქონდეთ სწორი მიდგომები თავიანთი პრობლემების მოგვარების, თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლების მიზნით, პროექტის „თემები დემოკრატიული არჩევნებისთვის“ ფარგლებში აჭარის ხუთივე მუნიციპალიტეტის (ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური და ქობულეთი) თემებში ადგილობრივ მოქალაქეებს განმანათლებლის პოზიციაზე დაასაქმებს. ვაკანსიების რაოდენობა თემებში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით განისაზღვრა, შესაბამისად თითოეულ თემში ადგილობრივი განმანათლებლის რაოდენობა 1–დან 4-მდე მერყეობს. კონკურსის შედეგად შერჩეული განმანათლებლები თავიანთ თემებში მოსახლეობას ჯგუფ–ჯგუფად შეკრებენ და შეეცდებიან ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მეტ–ნაკლებად ჩაახედონ, მისი ავ–კარგი დაანახონ და აჩვენონ, რაოდენ ანგარიშვალდებულია ადგილობრივი თვითმმართველობა საკუთარი მოსახლეობის წინაშე.

მუშაობის სურვილი, ენერგიულობა, მოტივირებულობა და შედეგზე ორიენტირებულობა – ეს ის მთავარი პრინციპებია, რაც ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ თანამშრომლებს მოეთხოვებათ. 2013 წლის დეკემბერში გამოცხადებულ კონკურსში მუნიციპალიტეტების თემებში ადგილობრივი განმანათლებლების ვაკანსიების დაკავების ერთ-ერთი მთავარი პირობაც სხვა ღირსებებთან ერთად, სწორედ ეს იყო. 96 ვაკანტურ პოზიციაზე 281 განაცხადი შემოვიდა (ქობულეთი – 83, ხელვაჩაური – 46, ქედა – 46, შუახევი – 46, ხულო – 60). კონკურსი მოიცავდა სამ ეტაპს: რეზიუმეების გადარჩევა, ტესტირება და გასაუბრება.

თემებში ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით ქობულეთის მუნიციპალიტეტში 34 განმანათლებელი იმუშავებს, ხელვაჩაურში – 26, ქედაში – 10, შუახევში – 10, ხულოში კი – 16 განმანათლებელი.

„ჩემი აზრით, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ არის ძალიან თამამი, უშიშარი ორგანიზაცია, რომელსაც შესწევს ძალები, თამამად გამოვიდეს საზოგადოების წინაშე და თქვას თავისი სიტყვა. აქედან გამომდინარე გამიჩნდა ამბიცია, ამ ორგანიზაციასთან მეთანამშრომლა.“ – განაცხადა ადგილობრივი განმანათლებლის პოზიციაზე ერთ-ერთმა კონკურსანტმა დარიკო აბუსელიძემ. იგი დროებით უმუშევარია. აქვს გამოცდილება საარჩევნო საქმიანობაში და სურს, მოკრძალებული წვლილი შეიტანოს თავისი თემის განვითარებაში.

კონკურსანტი მანანა ლასურიძე განმანათლებლად მუშაობის შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობასა და მოსახლეობას შორის უნდობლობის აღმოფხვრაზე იმუშავებდა: „ჩემი, როგორც განმანათლებლის მიზანია, ინფორმირებული გავხადო მოსახლეობა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. მივაწოდო ინფორმაცია, თუ რა უფლებები გააჩნია თითოეულ მოქალაქეს, რა ფორმით შეუძლიათ მოქალაქეებს თვითმმართველობის პროცესში ჩაერთონ. მინდა აღმოიფხვრას ის უნდობლობა, რომელიც ხალხს გააჩნია თვითმმართველობის ორგანოების მიმართ, რომ ყველა მოქალაქეს უფლება აქვს კანონის შესაბამისად კენჭი იყაროს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში ასარჩევად და იზრუნოს მოსახლეობის კეთილდღეობისათვის, თავისი წვლილი შეიტანოს თვითმმართველობის საქმიანობაში, იმოქმედოს კანონის შესაბამისად.“ სამწუხაროდ ქალბატონი მანანა კონკურსს მინიმალური სხვაობით გამოეთიშა.

„დღეს ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოება ახლა ყალიბდება. მოსახლეობამ არ იცის თავისი უფლებები. არ იცის როგორ, რა მექანიზმით ებრძოლოს პრობლემებს, რომ პრობლემების მოგვარების სამართლებრივი გზები არსებობს, რომ რიგით მოქალაქეს შეუძლია გამოითხოვოს საჯარო ინფორმაცია, დაესწროს საკრებულოს სხდომებს, მიიღოს მონაწილეობა ბიუჯეტის შემუშავებაში. ერთი სიტყვით, იყოს აქტიური მოქალაქე. ჩემი განმანათლებლად მუშაობის მოტივაციაც ესაა სწორედ – ჩემი მცირე წვლილი შევიტანო მოსახლეობის ინფორმირებულობაში. დავარწმუნო ჩემი თემის ამომრჩევლები, რომ პრობლემების მოგვარება და კარგი ცხოვრების მოწყობა, სწორედ მათ აქტიურობაზეა დამოკიდებული. ქვეყანაში ყველაფერზე და ყველაზე მაღლა უნდა იყოს კანონი. ასე შევქმნით სამართლებრივ სახელმწიფოს,“ – განაცხადა განმანათლებლობის ერთ-ერთმა მსურველმა ხათუნა დიასამიძემ.

განმანათლებლად მუშაობა მშობლიური თემის მოსახლეობის დასახმარებლად სურს ქეთევან ღლონტს: „ეს პოზიცია ჩემთვის არის ძალიან საინტერესო. სოფელი დიდია, მოსახლეობა კი დაღლილია ამდენი არჩევნებით, დაბნეულია... აქ იმიტომ მოვედი, რომ მომწონს ხალხთან მუშაობა. კარგად ვიცნობ ჩემი სოფლის მოსახლეობას, ვიცი მათი ჭირ–ვარამი, გულისტკივილი და თუ რამეში დავეხმარები, თუნდაც იმაში, რომ გავათვითცნობიერებინო როგორია სამართლიანი, დემოკრატიული არჩევნები, რა უფლებები გააჩნიათ, რა უნდა მოსთხოვონ დეპუტატებს, რომლებსაც ნდობა გამოუცხადეს, სოფელში დაგროვილი უამრავი პრობლემის გადაჭრისათვის ადგილობრივ თვითმმართველობას რა უნდა მოსთხოვონ, ყველაფრის გარკვევაში თუ დავეხმარები, მოხარული ვიქნები.“ ქალბატონი ქეთევანი მიიჩნევს, რომ მოსახლეობასთან კომუნიკაცია არ გაუჭირდება და განმანათლებლად მუშაობის შემთხვევაში რისკს იმისა, რომ პირადი პრობლემებით გადაღლილმა მოსახლეობამ შეიძლება არ მოუსმინოს, ვერ ხედავს.

ქეთევან ღლონტისგან განსხვავებით მზია კობალაძე ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჩაისუბნის თემში უკვე გამოცდილი ტრენერ–განმანათლებელია. იგი 2010 წელში ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ მიერ განხორციელებული პროექტის „ჩვენი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა“ ფარგლებში განმანათლებლის პოზიციაზე მუშაობდა: „პროექტი ძალიან საინტერესო იყო. გავაცანი მოსახლეობას, თუ როგორი უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის სტილი და რა უფლება–მოვალეობით სარგებლობს მათ მიერ არჩეული ხელმძღვანელი. განსაკუთრებით მეტი ხედვა მივეცი ახალგაზრდობას ამ მხრივ, რათა იყვნენ დამოუკიდებელი და სწორი არჩევანი გააკეთონ. სამომავლოდ იგივე მისიას შევასრულებ, თუკი მენდობიან, მივაწოდებ სწორ ინფორმაციას და იმ სიახლეებს, რომელიც დაკავშირებული იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით. შევეცდები, უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდო დაკისრებულ მოვალეობას. გავეცნო და შევისწავლო სიახლეები, რათა მომზადებული შევხდეთ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს.“ ქალბატონი მზია მიიჩნევს, რომ მსგავსი პროექტები (როგორიც იყო „ჩვენი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა“ და როგორიცაა „თემები დემოკრატიული არჩევნებისთვის“) ნამდვილად უწყობს ხელს თემებში მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლებას: „დიდი მადლობა „ინტელექტის“ ხელმძღვანელობას დიდი წვლილისათვის ჩვენი ქვეყნის სამომავლო და მეტად მნიშვნელოვან საქმეში!“ – ამბობს მზია კობალაძე.

„თემების განმანათლებელთა შესარჩევი კონკურსი ჩატარდა გამჭვირვალედ, ობიექტურად და მშვიდ გარემოში. ვილაც უკმაყოფილო დარჩა, ვილაც – კმაყოფილი... თუმცა, კარგია როცა პრეტენზიას გამოთქვამენ, ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ დაინტერესდნენ პროექტით და გაუჩნდათ მონაწილეობის სურვილი. კონკურსის მიზანი გახლდათ საუკეთესო კანდიდატურების შერჩევა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში კონკურსანტები უკეთესად იყვნენ მომზადებულნი. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ქედის მუნიციპალიტეტი, სადაც ტესტირებაში ორმა კონკურსანტმა ყველა კითხვაზე სწორი პასუხი გასცა და უმაღლესი – 25 ქულა მიიღო.“ – ასე აფასებს მუნიციპალიტეტების თემებში ადგილობრივი განმანათლებლების შესარჩევი კონკურსის მიმდინარეობას თემის მობილიზატორი და საკონკურსო კომისიის ერთ-ერთი წევრი ნუგზარ კეკელიძე.

პროექტის – „თემები დემოკრატიული არჩევნებისთვის“ მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, განმანათლებლებმა ანუ ტრენერებმა საკუთარ თემებში მოსახლეობასთან უნდა ჩაატარონ საინფორმაციო–საგანმანათლებლო შეხვედრები საარჩევნო საკითხებთან და პროცედურებთან დაკავშირებით. შეხვედრებზე,არაფორმალურ ვითარებაში განხილული იქნება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: თვითმმართველობის არსი; როგორ აირჩევა თვითმმართველობა; საარჩევნო კანონმდებლობა და საარჩევნო პროცესი; საკუთარი არჩევანის და საკუთარი ხმების დაცვის მექანიზმები; თვითმმართველობის პროცესებში მონაწილეობის აუცილებლობა და თვითმმართველობის რეალიზაციის მექანიზმები არსებული კანონმდებლობის მიხედვით; საკრებულოს წევრის ფუნქციები; მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები ადგილობრივი ბიუჯეტების დაგეგმარების დროს.

ადგილობრივი განმანათლებლების შერჩევის პროცესს თან ახლდა კონკურსში მონაწილე მოქალაქეთა უკმაყოფილება შერჩევის კრიტერიუმებთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც ორგანიზაციაში შეიქმნა საპრეტენზიო კომისია, რომელიც განიხილავს მოქალაქეთა პრეტენზიებს.

P.S. ხულოს მუნიციპალიტეტის რიყეთის თემში ერთ ვაკანსიაზე ორი კონკურენტი აცხადებდა პრეტენზიას: პედაგოგი ვარლამ ხოზრევანიძე და დროებით უმუშევარი ოთარ ანთაძე. ამ უკანასკნელმა პირველს მინიმალური სხვაობით – 2 ქულით აჯობა და რიყეთის თემის განმანათლებლის ვაკანსია დაიკავა. ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტს“ ვარლამ ხოზრევანიძე დაუკავშირდა, რომელმაც განაცხადა: „პრეტენზია არ მაქვს, რომ ვერ გავხდი თემის განმანათლებელი. მე ამ ორგანიზაციას და მის საქმიანობას დიდ პატივს ვცემ მისი მიუკერძოებლობიდან და საქმისადმი ერთგულებიდან გამომდინარე. დარწმუნებული ვარ, სამომავლოდ კიდევ ბევრ პროექტს განახორციელებთ და მოხარული ვიქნები, მოხალისედ მაინც თუ მივიღებ მონაწილეობას ჩემი თემისა და მუნიციპალიტეტის განვითარების საქმეში.“

**საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“. ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „თემები დემოკრატიული არჩევნებისთვის“ ფარგლებში. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.**

**ჩანართის რედაქტორი: თეონა კაკაციძე**

**მისამართი: ბათუმი, ალმაშენებლის ქ.№13**
**ტელ.: 24-16-40, ფაქსი: 24-16-50**
**ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge**
**ვებ.გვერდი: www.intellect.org.ge**